

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"

- ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შემუშავება გამოიწვია "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტმა, რომელიც პროფესიული განათლების სფეროში განათლების სახეების ცვლილებას ითვალისწინებს. ამ გარემოებამ წარმოშვა აუცილებლობა იმისა, რომ "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონიდან ამოღებულიყო ტერმინი "საშუალო სპეციალური განათლება".

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებას 30-ე მუხლში, რომელიც სამხედრო სამსახურის გადავადებას აწესრიგებს. რამდენადაც "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს პროექტების თანახმად, პროფესიული განათლება მოიცავს როგორც სახელობო, ისე პროფესიულ უმაღლეს განათლებას, რომლის დამღევა შესაძლებელია მხოლოდ სრული ზოგადი განათლების ბაზაზე, აუცილებელი გახდა 30-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის ცვლილება, რომლის თანახმადაც სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება პირს, რომელიც არის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, დაწყებითი პროფესიული ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლე - 20 წლის ასაკამდე, თუ მას სასწავლებელში ჩარიცხვამდე არ ჰქონდა საშუალო განათლება;

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს 30-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ¹" ქვეპუნქტის დახვეწას, რომელიც იმ პირთა სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებას ითვალისწინებს, რომლენიც აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობენ. რამდენადაც, არსებული რედაქციით წარმოიშობა გაუიგებრობა იმასთან დაკავშირებით, ვრცელდება თუ არა აღნიშნული პუნქტი იმ პირებზე, რომლებიც სწავლობენ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გაჩნდა აუცილებლობა იმისა, რომ მოყვანილი პუნქტი დაკონკრეტებულიყო და ზუსტად განესაზღვრა მოქმედების სფერო.

- ა.ბ) კანონპროექტის მიზანი
კანონპროექტის მიზანია მოიყვანოს შესაბამისობაში სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული კანონმდებლობა "პროფესიული

განათლების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტთან. ამასთან, კანონპროექტი მიზნად ისახავს დახვეწოს ფორმულირებები, რომლებიც განათლების მიღებასთან დაკავშირებით სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებას ითვალისწინებენ.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ”სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონში ტერმინი საშუალო პროფესიული (სპეციალური) განათლება შესაბამისობაში მოიყვანოს ”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებულ განათლების სახეებთან.

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს განათლების მიღებასთან დაკავშირებით სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებასთან დაკავშირებული 2 ქვეპუნქტის რეაქციის ცვლილებას, კერძოდ 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ”გ¹” ქვეპუნქტი გაითვალისწინებს, რომ სამხედრო სამსახური გადაუვადდება პირს, რომელიც ”არის საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, აგრეთვე უცხო ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სახელმწიფოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი - სწავლის დამთავრებამდე, უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე;”, ხოლო ამავე პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის მიხედვით, სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება პირს, რომელიც არის ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე 20 წლის ასაკამდე”.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება დამატებით ხარჯებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ გამოიწვევს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტი სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც იგი ვრცელდება, არ წარმოშობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და

მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

და.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო

ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშავებაში სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

და.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის

(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

შეფასება არ არსებობს.

და.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.